დანართი N1

„შესასვლელი ბარათები“

სახელი,გვარი:	**საკითხები:**დაზოგვა,ქველმოქმედება.ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება;
რა არის ჩემთვის ცნობილი ამ საკითხთან დაკავშირებით?	**რა არის ჩემი მიზანი ამ გაკვეთილებზე:**
ერთი კითხვა ,რომელსაც მინდა რომ პასუხი გაეცეს+:	**რამდენად დარწმუნებული ვარ ჩემს ცოდნაში ამ საკითხებთან დაკავშირებით:**

დანართი N2

ქეისი 1-დაზოგვა

„მერაბის ოჯახის ისტორია“

მერაბს დიდი ოჯახი აქვს ექვსი სულისგან შედგება. ოჯახში ყველა მუშაობს:დედა,მამა,პაპა,უფროსი და .ყველას საკუთარი შემოსავალი აქვს. წლის დასაწყისში ყველა ერთად იკრიბება და ოჯახის ბიუჯეტს ადგენს,რა და როგორ გაანაწილონ: საყოფაცხოვრებო საჭიროებები,კომუნალური გადასახადები,გაუთვალისწიმნებელი ხარჯი(ვაი თუ ავად გახდეს ვინმე) და სხვა.მერაბის სოფელი დასავლეთ საქართველოშია და ძალიან უყვარს მშობლიურ სოფელში ზაფხულის არდადეგების გატარება.იქ ბევრი მეგობარი ყავს.ოჯახს ხშირად უწევს სოფელში ჩასვლა ,განსაკუთრებით შემოდგომით მოსავლის ასაღებად,ზამთარში კი ეზო-კარმიდამოს მისახედად(დიდ თოვლობისას)თბილისიდან,რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.ყოველ წელს გეგმავს მერაბის ოჯახი თანხის გადადებას მანქანის შესაძენად,მაგრამ მაინც გამოჩნდება ხოლმე გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვერა და ვერ მოაგროვეს მანქანის საყიდლი ფული. ერთ საღამოს ტელევიზიით მერაბმა სარეკლამო რგოლს მოკრა თვალი,სადაც ბანკი ანაბრის განთავსებაზე და ძალიან მომგებიან პირობებზე საუბრობდა იდეაც გაუჩნდა და გადაწყვიტა იმავე საღამოს ყველასთვის გაეზიარებინა!

ქეისი 2-ქველმოქმედება

„ლიზას ისტორია“

ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში ოჯახი გადმოვიდა საცხოვრებლად:დედ-მამა. სამი ბავშვი და მოხუცი ქალი,ალბათ ოჯახის ბებო .ნიკა და მარიამი ამ ეზოში უკვე დიდი ხანია ცხოვრობენ და თითქმის ყველას იცნობენ.მათ უყურადღებოდ არ დარჩენიათ,რომ ახალად გადმოსული ოჯახის უფროსი შვილი ,გოგონა სკოლაში არ დადიოდა,არადა დახლოვებით მე-7 კლასის მოსწავლე ,ფაქტიურად მათი თანატოლი იქნებოდა და დილით ხედავდნენ,როგორი სინანულით აყოლებდა თვალს სკოლისკენ მიმავალ ბავშვებს.ბავშვებმა გადაწყვიტეს გაეგოთ მიზეზი, თუ რატომ არ დადიოდა გოგონა სკოლაში. თამარა დეიდას სთხოვეს სიტუაციაში გარკვევა,რომელმაც ყოველთვის ყველაერი იცოდა სად რა და რატომ ხდებოდა . მალევე დაადგინეს,რომ ოჯახს ძალიან უჭირდა, მხოლოდ მამა მუშაობდა,დედა ავადმყოფობდა და მამის ხელფასი და ბებოს პენსია არ იყო საკმარისი.ოჯახს არ ჰქონდა შესაძლებლობა სასკოლო ნივთები და ტანსაცმელი ეყიდა ლიზისთვის(ასე ერქვა გოგონას),ბავშვებმა გადაწყვიტეს ემოქმედათ .

ქეისი 3-ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება

„გიორგის ისტორია“

გიორგიმ ზაფხულის არდადეგებზე გადაწყვიტა ემუშავა და სასკოლო ნივთების შესაძენად საკუთარი შრომით გამოემუშავებინა თანხა.სამუშაო მალე მოძებნა,მეზობელი დაეხმარე,ვახტანგი ბიძია და სახლთან ახლოს მაღაზიის საწყობში მოაწყო სამუშაოდ.გიორგი ხალისით შეუდგა მუშაობას და მეგობრებიც გაიჩინა ლუკა და მარიამი.სამუშაოც არ იყო რთული,დილით მაღაზიაში მოტანილი პროდუქტი უნდა დაესაწყობებინა და აღეწერა.თვის ბოლოს პირველი ხელფასიც აიღო და ძალიან ბედნიერი იყო.გადაწყვიტა თანხისთვის ხელი არ ეხლო და სამი თვის ანაზრაურება ერთად გამოეყენებინა თავისი მიზნებისთვის. საღამოს ,როდესაც ფოსტას ამოწმებდა უცნაურ შეტყობინებას წააწყდა.შეტყობინებაში გარკვევით

დანართი N2

ეწერა,რომ მან მოიგო ლატარიაში საკმაოდ სოლიდური თანხა და იმისთვის,რომ თანხა მიეღო, მოგების მოსაკრებლების დასაფარად თანხა უნდა გაეგზავნა მითითებულ მისამართზე ბანკში. ძალიან გაიხარა ,თვალებს არ უჯერებდა, მოსაკრებლის დასაფარად თანხა არ ეყოფოდა,მაგრამ გამოსავალიც უცებ იპოვა,მეგობრებს სთხოვდა მოგების მიღებამდე (ხელფასი ხომ მათაც აიღეს).ერთი სული ჰქონდა როდის გათენდებოდა,რომ ეს სასიხარულო ამბავი მეგობრებისთვის გაეზიარებინა და ოცნებებში უკვე მოგებული თანხაც გაანაწილა.

დანართი N4

გასასვლელი ბარათი

მოსწავლის სახელი და გვარი:----------

საკითხები :დაზოგვა, ქველმოქმედება, ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება.

1)სამი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ გაკვეთილებიდან დამამახსოვრდა:

1.----------

2.----------

3.----------

3)გაკვეთილებზე (დაზოგვა, ქველმოქმედება, ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება) მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებაში დამეხმარება:

1.----------

2.----------

3.----------